

# განმარტებითი ბარათი

## საქართველოს კანონის პროექტზე „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

#### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონში წინამდებარე ცვლილებები გამოწვეულია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტით. ცვლილებათა საფუძველს წარმოედგენს როგორც ტერმინოლოგიური, ასევე სხვა სამართლებრივი და ლოგიკური ხასიათის საკითხები.

#### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტით მოქმედ კანონში არსებული ტერმინთა განმარტება შესაბამისობაშია მოყვანილი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტთან.

ასევე დაიხვეწა „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლი რომლის თანახმადაც, ფაქტიურად იკრძალებოდა პრივატიზება კულტურის სფეროში. წარმოდგენილი ცვლილებებით საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებითა და მის მიერ წინასწარ განსაზღვრული პირობებით შესაძლებელია კულტურული ფასეულობების, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი და მოძრავი ძეგლების, კულტურული და სახელოვნებო დანიშნულების შენობა-ნაგებობების პრივატიზება.

#### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

##### ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

არ იწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას.

##### ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, კერძოდ თუ აქამდე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების პრივატიზება იკრძალებოდა, მოცემული ცვლილების საშუალებით განხორციელებული პრივატიზების პროცესის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზრდება სახელმწიფო შემოსავლები.

##### ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

გავლენას არ ახდენს.

##### ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

##### ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის არ ახდენს გავლენას იმ პირობა ფინანსური შედეგებზე, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

##### ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესებას.

#### გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან:  
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირებულებებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:  
წინამდებარე კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩვენი ქვეყნის წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:  
ეს კანონპროექტი არ მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:  
ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:  
ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:  
კანონპროექტის ავტორია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:  
საქართველოს მთავრობა.